1968/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 5 (328)

1968 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (328) მაისი 1968 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.
55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. მ. ბ. ნარსიას დანიშვნის შესახებ.
56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ამხ. ო. ა. ლომიძის გათავისუფლების შესახებ.
58. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების მდგომარეობის შესახებ.
59. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ მიწათსარგებლობის წესების დაცვის მდგომარეობის შესახებ.
60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის ვაკის № 45 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ.
61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ვაკის № 45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ.

საქ. სსრ. სახ. საბჭ. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია)

62. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

63. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვის და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

64. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

65. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის შექმნისა და მთავარი სამმართველოს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე.

66. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

67. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებაში დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

68. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

69. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

70. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ დ. მ. მამულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

71. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ნ. ა. ჟვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

72. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ დ. გ. შარაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ო. ფ. ანთიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრად არჩევის შესახებ.

განყოფილება მეორე

74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ხუროძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ნინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ა. გიგოლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. პ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. სვანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

80. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. მარსაგიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. მ. ტაბაღუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ი. ბერაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ხანდუკიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

54 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

55 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. მ. ბ. ნარსიას დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ბახვას ძე **ნარსია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

56 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-12, 25-ე, 44-ე და 54-ე მუხლებს სიტყვების შემდეგ „228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი“ დაემატოს სიტყვები „ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადება ან გასაღება (252-ე მუხლის პირველი ნაწილი)“;

50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „და 228 მუხლის მესამე ნაწილით“;

252-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 252. ნარკოტიკული და სხვა ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების დამზადება ან გასაღება

ნარკოტიკულ ნივთიერებათა სპეციალური ნებართვის გარეშე დამზადება, გასაღება, აგრეთვე შენახვა ან გასაღების მიზნით შეძენა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნარკოტიკულ ნივთიერებათა აუცილებელი კონფისკაციით.

ძლიერმოქმედი ან შხამიანი არანარკოტიკული ნივთიერებების სპეციალური ნებართვის გარეშე დამზადება, გასაღება და აგრეთვე შენახვა ან გასაღების მიზნით შეძენა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების კონფისკაციით.

ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვისა და გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

64-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მესამე ნაწილი;

349-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეშვიდე ნაწილი:

„პირს, რომელმაც გაასაჩივრა ან გააპროტესტა განაჩენი, უფლება აქვს სასამართლო სხდომის დაწყებამდე გამოითხოვოს თავისი საჩივარი ან პროტესტი. ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს გამოითხოვოს ქვემდგომი პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტი“;

363-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ საჩივარი, პროტესტი ან პროკურორის დასკვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, განჩინებაში უნდა იყოს აღნიშნული ის საფუძველი, რის გამოც საჩივრის, პროტესტის ან პროკურორის წერილობითი დასკვნის მოსაზრებანი ცნობილია არასწორად ან არაარსებითად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

57 ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ამხ. ო. ა. ლომიძის გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ოთარ ამბაკოს ძე **ლომიძე** ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 8 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

58 რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის ამხ. მ. ლომიძის მოხსენება და აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის რიგ რაიონში მოუგვარებელია კოლმეურნეობათა იურიდიული მომსახურება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებში იურიდიული მომსახურების ორგანიზაციას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა უკანასკნელ პერიოდში შეასუსტეს კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების კონტროლი. აღნიშნულის შედეგად ყოველწლიურად მცირდება კოლმეურნეობების მიერ იურიდიულ კონსულტაციებთან ხელშეკრულებათა დადება სამართლებრივი მომსახურების შესახებ. 1965 წელს დუშეთის, ზუგდიდის, მახარაძის და საგარეჯოს რაიონების 95 კოლმეურნეობიდან ადგილობრივ იურიდიულ კონსულტაციებთან ხელშეკრულება დადო 36 კოლმეურნეობამ, 1966 წელს ეს რიცხვი შემცირდა 27-მდე, 1967 წელს — 5-მდე, ხოლო 1968 წელს ასეთი ხელშეკრულება დადებული აქვს მხოლოდ მახარაძის რაიონის ერთ კოლმეურნეობას.

ამავე დროს, მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები სუსტად ერკვევიან მოქმედ კანონმდებლობაში, რის შედეგადაც ადგილი აქვს კანონიერების დარღვევას, სამეურნეო ხელშეკრულებების იურიდიულად არასწორად გაფორმებას, რაც იწვევს კოლმეურნეობათა გაუმართლებელ ხარჯებს და დიდი ოდენობის დებიტორულ დავალიანებებს.

1968 წლის 1 იანვრისათვის დებიტორული დავალიანება შეადგენდა: დუშეთის რაიონში — 256 ათას მანეთს, ზუგდიდის რაიონში — 109 ათას მანეთს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძის რაიონში — 29,5 ათას მანეთს, ხოლო საგარეჯოს რაიონში — 82 ათას მანეთს.

გავრცელებულია კანონიერების ისეთი დარღვევა, როგორიცაა კოლმეურნეთა უკანონოდ დაჯარიმება და სხვა სახის დაქვითვები შრომის ანაზღაურებიდან. ასე, მაგალითად, დუშეთის რაიონის ბაზალეთის კოლმეურნეობის გამგეობამ დისციპლინის დარღვევისათვის 6 კოლმეურნე დააჯარიმა 20 მანეთიდან 100 მანეთამდე, ხოლო ნათესების წანახედისათვის 141 კოლმეურნეს ხელფასიდან დაუკავა 20-დან 100 კილოგრამამდე ხორბალი.

კოლმეურნეობებს ან დაგვიანებით შეაქვთ ან სრულიად არ შეაქვთ სარჩელი სასამართლოებში დებიტორული დავალიანების გადასახდევინებლად, ამასთან სასარჩელო განცხადებები იურიდიულად გაფორმებულია არაზუსტად (საგარეჯოს, დუშეთის რაიონები).

რაიონების საწარმოო სამმართველოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების, შიდასაკოლმეურნეო დემოკრატიის უზრუნველყოფის და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის საკითხებს.

კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს „კოლმეურნეთა იურიდიული მომსახურების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 ივნისის დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მოხსენებითი ბარათი გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა იურიდიული მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ მიწათსარგებლობის წესების დაცვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. მ. ღვინჯილიას მოხსენება „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ მიწათსარგებლობის წესების დაცვის მდგომარეობის შესახებ“ და აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მკვეთრად გააუმჯობესეს მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის წესების დასაცავად.

ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობამ სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განიხილა კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობის წესების, საკოლმეურნეო წესდების, სოციალისტური კანონიერებისა და შიდასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობის და სხვა საკითხები, რამაც დიდად შეუწყო ხელი საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების განმტკიცებას, საკოლმეურნეო წესდებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვის გაუმჯობესებას, აგრეთვე საზოგადოებრივი მიწების ინტენსიურად გამოყენების საქმეს (თეთრიწყაროს, ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, მახარაძისა და სხვა რაიონები).

ამასთან ერთად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მიწათსარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევებს. რიგ რაიონში არადამაკმაყოფილებლად სრულდება ნასვენი მიწების ათვისების გეგმა.

დამტკიცებული გეგმის თანახმად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სახნავად და მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად უნდა აეთვისებინათ 10 ათასი ჰექტარი ნასვენი მიწა; აქედან, ათვისებულია მხოლოდ 3,3 ათასი ჰექტარი. ამავე დროს, სახნავ-სათესი მიწის ფართობიდან დაუმუშავებელი დატოვეს 7,6 ათასი ჰექტარი, რის შედეგად ნასვენი მიწების ფართობი, 1966 წელთან შედარებით, გაიზარდა რამდენიმე ათასი ჰექტარით.

'განსაკუთრებით ცუდად ითვისებენ ნასვენ მიწებს ბოგდანოვკის, გორის, ბორჯომის, ახმეტის, დმანისის, ზნაურის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ჭიათურის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორისა და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ნასვენი მიწების ფართობი, ათვისების ნაცვლად, გაიზარდა ბოგდანოვკის რაიონში 483 ჰექტარით, გორის რაიონში — 205 ჰექტარით, ცხაკაიას რაიონში — 197 ჰექტარით, მაიაკოვსკის რაიონში — 194 ჰექტარით, ჭიათურის რაიონში — 727 ჰექტარით, გეგეჭკორის რაიონში — 269 ჰექტარით, ლანჩხუთის რაიონში — 218 ჰექტარით.

ზოგიერთი რაიონული და სასოფლო საბჭოს აღმასკომი, რაიონული საწარმოო სამმართველო, კოლმეურნეობის გამგეობა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა უყურადღებოდ ეკიდება ამ დიდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებას და არ იღებს სათანადო ზომებს ნასვენი მიწების დასამუშავებლად.

რაიაღმასკომები და საწარმოო სამმართველოები, ზოგჯერ, სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების საკითხს და საამისოდ გამოყოფენ ნაყოფიერ სახნავ ფართობებს, ნაცვლად ნაკლებად პროდუქტიულისა. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა წყალტუბოს, გარდაბნის, ხაშურისა და სხვა რაიონებში.

განსაკუთრებით ხშირია მიწათსარგებლობის წესების დარღვევები საკარმიდამო ნაკვეთების ხაზით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არიან ისეთი პირები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მაგრამ სარგებლობენ კოლმეურნეობის წევრის ან საბჭოთა მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშის ყველა უფლებით და საკარმიდამო ნაკვეთს ფლობენ მაქსიმალური ნორმის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს მიწათსარგებლობის წესების ბევრ სხვა დარღვევასაც, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს ამ დარღვევების გამოსასწორებლად.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ძირულის კოლმეურნეობაში 37 კომლს კუთვნილი ნორმის გადამეტებით უკავია 3,74 ჰექტარი მიწა, როდინოულის საბჭოთა მეურნეობაში 17 შემოწმებული კომლიდან საკარმიდამო ნაკვეთი ნორმაზე მეტი აღმოაჩნდა 9 კომლს, სოფელ ცხრაწყაროში 31 კომლიდან — 10 კომლს. ასეთივე მდგომარეობაა ამავე რაიონის სოფელ ფუთისა და სოფელ ზედა საქარის კოლმეურნეობებში.

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობაში 14 შემოწმებული კომლიდან საკარმიდამო ნაკვეთი ნორმაზე მეტი აღმოაჩნდა 4 კომლს, ხოლო სოფელ ალექსეევკის კოლმეურნეობაში — 8 კომლს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს:

ა) სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილების შესაბამისად მიიღონ გადამჭრელი ზომები და სათანადო წესრიგი დაამყარონ მიწათსარგებლობის საქმეში, მიაღწიონ სახნავი მიწების სრულად და სწორად გამოყენებას, არ დაუშვან მისი ფართობის შემცირება და უზრუნველყონ ნასვენი მიწების ათვისების გეგმის შესრულება;

ბ) მტკიცედ დაიცვან დებულება „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ“;

გ) პერიოდულად შეამოწმონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების მდგომარეობა, საკარმიდამო მიწათსარგებლობის საკითხები და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

დ) დაუბრუნონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლეებს ის მიწები, რომლებიც უკანონოდ უკავიათ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებს და სხვა პირთ, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციებს;

ე) სრული წესრიგი დაამყარონ მიწათსარგებლობის დოკუმენტაციისა და მიწების აღრიცხვის საქმეში, სისტემატურად შეამოწმონ მიწათსარგებლობის დოკუმენტაციის მონაცემთა სისწორე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს და საპროექტო ორგანიზაციებს არ დაუშვან სამშენებლო ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა, ვიდრე სათანადოდ არ გაფორმდება მიწის ნაკვეთის გამოყოფა.

3. დაევალოს რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მიწათსარგებლობის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები და ქმედითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწათსარგებლობის წესების დაცვის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 ქ. თბილისის ვაკის № 45 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ნაცვლად გასული დეპუტატისა, ქ. თბილისის ვაკის № 45 საარჩევნო ოლქში კვირას, 1968 წლის 23 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 24 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ვაკის № 45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ვაკის № 45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — ირაკლი არჩილის ძე **გიორგაძე**, საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

№ 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ოთარ გიორგის ძე **ლომიძე** — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — ელენე ივანეს ასული **ჭეიშვილი**, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინების და შრატების სამეცნიერო ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გოგუცა სიმონის ასული **ბურჯანაძე** — წითელწყაროს საზოგადოების 55-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

იულია დიმიტრის ასული **ქოქრაშვილი** — წითელიჯვრის საზოგადოების თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **მიროტაძე** — თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

ლუდმილა ევგენის ასული **ბოგოიავლენსკაია** — ბუნების დაცვის ნებაყოფლობითი თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

პავლე მიხეილის ძე **ღუდუშაური** — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ნუგზარ მიხეილის ძე **დელბაშიშვილი** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წელს 27 მაისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია)

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

62 რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. თ. ლაშქარაშვილის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვის მინისტრის ამხ. ლ. საყვარელიძის მოხსენებები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. ბუაჩიძისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. პ. გელბახიანის თანამოხსენებები რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და აღნიშნავს, რომ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. გაფართოვდა და განმტკიცდა ამ დაწესებულებათა ბაზა, გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღები და ბაგა-ბაღები, რომელთა მშენებლობაში ფართოდ მონაწილეობენ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამჟამად სკოლამდელ დაწესებულებებში გაერთიანებულია ასი ათასზე მეტი ბავშვი. ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან და მათი ქსელის გაფართოებასთან ერთად, რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი აღნიშნულ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული დონის სისტემატურმა ზრდამ, საბავშვო ბაგებში, ბაღებში, ბაგა-ბაღებში და საერთოდ ბავშვთა ამ კონტინგენტში ფართო სანიტარულ-პროფილაქტიკური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებამ უზრუნველყო რესპუბლიკაში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაავადების და სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირება. მარტო უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ავადმყოფობის შემთხვევათა საერთო რიცხვი შემცირდა ორჯერ, ხოლო სიკვდილიანობა — საგრძნობლად. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები დახმარებას უწევენ სკოლამდელ დაწესებულებებს მუშაობის მოწინავე მეთოდების განზოგადების, მათი მუშაკების გადამზადებისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების ტემპი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც სააღმზრდელო ჯგუფებში 25 ბავშვის ნაცვლად ირიცხება 40-45 ბავშვი, რაც ხელს უშლის ნორმალურ აღმზრდელობით მუშაობას და აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვას. ბევრი სკოლამდელი დაწესებულება შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ჭიათურაში, ზესტაფონში და რესპუბლიკის რიგ სხვა ქალაქსა და რაიონში, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები არ იღებენ ზომებს მშენებარე საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებზე ბავშვთა ბაგებისა და ბაღებისათვის ფართობის გამოსაყოფად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლამდელ დაწესებულებათა იმ შენობების გასათავისუფლებლად, რომ ... დაკავებული აქვთ სხვა ორგანიზაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაუმჯობესდა სკოლამდელ დაწესებულებათა კვების პროდუქტებით მომარაგება, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და ვაჭრობის საქალაქო და რაიონული ორგანოების მოუქნელი მუშაობის შედეგად ბევრი ბაგა და ბაღი ჯერ კიდევ საჭირო რაოდენობით ვერ იღებს რძეს, კვერცხს, ხილსა და ბოსტნეულს.

დღემდე მოუგვარებელია სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის სპეციალური ავეჯის წარმოების საქმე. ბაგა-ბაღები არ არიან უზრუნველყოფილი მაცივრებით, სამზარეულო მოწყობილობით, სათამაშოებითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები, სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ხშირად, ურიდგებიან არსებულ ხარვეზებს და არ იჩენენ აუცილებელ მომთხოვნელობას მათ აღმოსაფხვრელად.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება საუწყებო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა: დაბალია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, აღმზრდელთა უმრავლესობას არა აქვს საჭირო გამოცდილება და კარგად ვერ ფლობს სკოლამდელებთან მუშაობის მეთოდიკას. მათ საკმარის დახმარებას და კონტროლს ვერ უწევენ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სკოლამდელ დაწესებულებებს — სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე იშვიათად განიხილავს მათს საკითხს, ამ საქმეში ნაკლებად აბამს დეპუტატებს, საშეფო ორგანიზაციებს და არ იღებს გადამჭრელ ზომებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სესია აღნიშნავს, რომ ბაგა-ბაღის გაერთიანებამ, ხშირ შემთხვევაში, უარყოფითი გავლენა იქონია ბაგის კონტინგენტის ბავშვთა მომსახურებაზე. ამის დასადასტურებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში თითქმის შეწყდა ბაგების ცალკე მშენებლობა, ხოლო ბაგა-ბაღებში, სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობის გამო, ბაგის ასაკის ბავშვთა უმნიშვნელო პროცენტს იღებენ.

სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების და სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ საბავშვო ბაღებისა და ბაგების მატერიალური ბაზის შემდგომ გაფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოებას და განმტკიცებას, მიიღონ ზომები სხვა დაწესებულებების მიერ დაკავებულ საბავშვო ბაღებისა და ბაგების შენობათა გასათავისუფლებლად და არ დაუშვან სკოლამდელ დაწესებულებათა შენობების არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

მიიღონ ქმედითი ზომები ახალი ობიექტების მშენებლობის, სკოლამდელ დაწესებულებათა რემონტის და რეკონსტრუქციის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

ბ) მაქსიმალურად უზრუნველყონ სკოლამდელი დაწესებულებები ინვენტარით, მოწყობილობითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით. ყველა პირობა შექმნან ამ დაწესებულებებში ბავშვთა ნორმალური მოვლის, კვების სწორი ორგანიზაციისა და სამედიცინო-სანიტარული მომსახურებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დააწესოს სისტემატური კონტროლი სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე და გააძლიეროს მათდამი ხელმძღვანელობა, ყველა ზომა მიიღოს სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის გაძლიერებისათვის, სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააძლიეროს პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი მუშაობა საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. ყველა საბავშვო დაწესებულება, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალით, არსებული ნორმატივების შესაბამისად, და მიიღოს ზომები სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს რეგულარულად განიხილონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საკითხები, უახლოეს დროში შეადგინონ და კოლეგიის სხდომებზე დაამტკიცონ არაცენტრალიზებული თანხების ხარჯზე ბაგა-ბაღების ქსელის შემდგომი განვითარების გეგმა. ამასთან, მიიღონ ზომები საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების მთლიანად და დროულად ათვისებისათვის, სისტემატური კონტროლი დააწესონ თვითეული ობიექტის მშენებლობაზე და გადაჭრით გააუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება და მშენებარე საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების შენობათა დროულად გადაცემა საექსპლუატაციოდ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ საბავშვო დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი პროდუქტებით, ხილითა და ბოსტნეულით.

7. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) სისტემატურად შეამოწმონ საბავშვო ბაღებისა და ბაგების მუშაობა, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოს მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე რეგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარულად განიხილონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საკითხები და უზრუნველყონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება;

ბ) მიიღონ ზომები, რათა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააძლიერონ საშეფო დახმარება სკოლამდელი დაწესებულებებისადმი;

გ) განიხილონ საკითხი კოლმეურნეობების მონაწილეობით ბაგა-ბაღების ქსელის შემდგომი გაფართოების შესახებ.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

ა) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ყოველწლიური და პერსპექტიული გეგმების შედგენისას გაითვალისწინოს სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების შესაბამისად;

ბ) განახორციელოს ღონისძიებანი, რათა დროულად გადაეცეს საექსპლუატაციოდ მშენებლობის პროცესში მყოფი ბაგა-ბაღების შენობები, შეამოწმოს თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები განათლების ორგნაოების დაკვეთებს საბავშვო ბაღებისა და ბაგებისათვის სპეციალური საბავშვო ავეჯის, მსუბუქი ინვენტარის, თვალსაჩინო ხელსაწყოთა და სხვა მოწყობილობათა დამზადების შესახებ;

გ) შეისწავლოს საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში საბავშვო ბაგების გადაცემის მიზანშეწონილობის **შესახებ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 20 მაისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

63 საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვის და შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის მოხსენება „საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვის და შესრულების მდგომარეობის შესახებ“ და აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობა უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებულ საკითხებზე რეაგირების და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

დეპუტატთა წინადადებების შესაბამისად რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაც-

ვის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და სხვა ორგანიზაციების, მუშაობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებათა აღრიცხვის, მათზე რეაგირებისა და პასუხის დროულად გაცემის საქმეში; ისინი სათანადოდ არ ზრუნავენ დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამონახვის გზით დეპუტატთა მიერ დაყენებული საკითხების დადებითად გადაჭრისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის მოხსენება „საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვის და შესრულების მდგომარეობის შესახებ“ მიღებულ იქნას ცნობად.

2. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა ყველა ზომა მიიღონ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების დროულად განხილვისა და გადაწყვეტისათვის. ამასთან, მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილებით — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის შესახებ“.

3. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა პერიოდულად შეამოწმონ წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

64 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების მუშაობის ანგარიშები

10.785

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აღნიშნავს, რომ ამ კომისიებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს რესპუბ-
ლიკაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის და ბუნების
სიმდიდრეთა დაცვის გაუმჯობესებისათვის. ისინი სათანადო კონტროლს უწევენ
და ეხმარებიან შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და ადგილობრივ ორგა-
ნოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში.

კომისიების საქმიანობაში ჩაბმული არიან ადგილობრივი საბჭოების დეპუ-
ტატები და სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების სპეციალისტები.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ საანგარიშო
პერიოდში შეისწავლა და განიხილა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები,
როგორიც არის, რესპუბლიკაში დიეტური კვების ქსელის, სამტრედიის, ჩოხა-
ტაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის რაიონებში საზოგადოებრივი კვე-
ბის ობიექტების მუშაობის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა
კვების მდგომარეობის, რესპუბლიკაში სამკურნალო და მინერალური წყლე-
ბით ვაჭრობის საკითხები და სხვ. აღნიშნულ საკითხებზე კომისიამ წინადადე-
ბანი და რეკომენდაციები განსახილველად წარუდგინა საქართველოს სსრ უმაღ-
ლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, შესაბამის
სამინისტროებს, უწყებებსა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს. ამ ორ-
განოებმა კომისიის წინადადებათა საფუძველზე განახორციელეს სხვადასხვა
ღონისძიებანი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტთა მუშაობის გა-
საუმჯობესებლად.

ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიამ სათანადო უწყებებისა და ადგილობ-
რივი ორგანოების მონაწილეობით შეისწავლა და განიხილა რესპუბლიკის ნაკრ-
ძალების, საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის, აგრეთვე
ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა და სხვა საკითხები.

კომისიის მასალების საფუძველზე, მიმდინარე წლის თებერვალში, საქართ-
ველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკაში ნაკრძალების მდგომა-
რეობის საკითხი, გაითვალისწინა კომისიის წინადადებანი და კონკრეტული ღო-
ნისძიებანი დასახა მათ შესასრულებლად.

ბუნების დაცვის კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბრაკონი-
ერების წინააღმდეგ ბრძოლას; ამ საკითხთან დაკავშირებით მოისმინა საქართ-
ველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოხსენება და გამოვ-
ლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციები მისცა
იმ ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ ბუნების სიმდიდრეთა დაცვა.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ვაჭ-
რობისა და საზოგადოებრივი კვების და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიები
ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ მათთვის დებულებით მინიჭებულ უფლე-
ებს, სათანადო კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევენ შესაბამის სამინისტ-
როებს, უწყებებსა და ადგილობრივ ორგანოებს.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისია ვერ ახორციე-
ლებს საჭირო ღონისძიებებს სავაჭრო ორგანოების მიერ მოსახლეობის მომსა-
ხურების გაუმჯობესებისათვის. ნაკლოვანებებია ქალაქებისა და სოფლების სა-
ზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობაში, ვაჭრობის პროგრესული მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდების დანერგვის, მოსახლეობის სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების საქმეში და სხვა.

სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე ბუნების სიმდიდრეთა დაცვის საქმეში. ადგილი აქვს ტყის უნებართვო ჭრის, აკრძალულ ფრინველებზე და ცხოველებზე ნადირობის, თევზჭერის წესების დარღვევის, წყალსატევების გაბინძურების შემთხვევებს და სხვ.

ჯერ კიდევ სუსტია მუდმივი კომისიების კავშირი ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებთან და კონტროლი მიღებული დადგენილებების შესრულებაზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების საქმიანობა.

2. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის მთავარ ამოცანად მიჩნეულ იქნას ზრუნვა სავაჭრო ორგანოების მიერ მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კომისიამ კონტროლი დააწესოს რესპუბლიკაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტთა მიერ გეგმების შესრულებაზე, მათი ქსელის გაფართოებაზე და ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შესახებ ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებაზე.

3. ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიამ თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს რესპუბლიკის ბუნების სიმდიდრეთა მოვლასა და დაცვას; პერიოდულად შეისწავლოს და განიხილოს როგორ სრულდება კანონი ბუნების დაცვის შესახებ; ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების მოვლა-პატრონობას, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვას და ბრაკონიერობასთან ბრძოლას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დროულად განიხილონ მუდმივი კომისიების წინადადებანი და მიიღონ ზომები მათი რეკომენდაციების შესასრულებლად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს განამტკიცონ კავშირი რესპუბლიკის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან, მუშაობაში ფართოდ მიიზიდონ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების სპეციალისტები და ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების განუხრელად განხორციელებას.

6. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, განაზოგადოს და გაავრცელოს მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

65 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის შექმნის და მთავარი სამმართველოს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1968 წლის 16 იანვრისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ შექმნის შესახებ“;

1968 წლის 6 მაისისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“;

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში შეტანილ იქნეს დამატებები და ცვლილებები და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

66 საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1968 წლის 28 თებერვლისა — „საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1968 წლის 6 მაისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

67 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებაში დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1968 წლის 29 იანვრისა — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლის შევსების თაობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წლის 28 თებერვლისა — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

68 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1968 წლის 16 იანვრისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ თავმჯდომარედ ამხ. დავით გიორგის ძე **შარაშიძის** დანიშვნის შესახებ;

1968 წლის 6 მაისისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. მიხეილ ბახვას ძე **ნარსიას** დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

69 დეპუტატ რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი რუსუდან ალექსანდრეს ასული **ჯაფარიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და გათავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

70 დეპუტატ დ. მ. მამულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს დეპუტატი დავით მიხეილის ძე **მამულაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

71 დეპუტატ ნ. ა. ჟვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ნინო აქვსენტის ასული **ჟვანია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

72 დეპუტატ დ. გ. შარაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს დეპუტატი დავით გიორგის ძე **შარაშიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

73 დეპუტატ ო. ფ. ანთიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ოთარ ფარნას ძე **ანთია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრად.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **სახელით** დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მიხეილის ძე **ნოვიკოვი** — თბილისის მე-4 დამოუკიდებელ გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 ამხ. ა. ვ. ხურციძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კვების მრეწველობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი ამხ. ადოლფ ვარლამის ძე **ხუროძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 ამხ. ვ. ა. ნინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ამხ. ვიქტორ ათანასეს ძე **ნინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 ამხ. პ. ა. გიგოლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ადიგენის რაიონის სოფელ კახარეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პეტრე ავეტისის ძე **გიგოლაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 ამხ. კ. პ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი ამხ. კონსტანტინე პეტრეს ძე **დადიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 ამხ. ნ. ვ. სვანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, „კავგიპროტრანსის“ უფროსი ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე **სვანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 ამხ. ა. ა. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს „საქლითონმომარაგების“ სამმართველოს უფროსი ამხ. ალექსანდრე ანთიმოზის ძე **ბოკერია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 7 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 ამხ. ა. ი. მარსაგიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ ზამთრის საძოვრებზე მყოფ მეცხოველეთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დღესტნის ასსრ ტარუმოვკის რაიონის სოფელ კოჩუბეის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის მთავარი ექიმი ამხ. ალექსანდრე იოსების ძე **მარსაგიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 7 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 ამხ. ი. მ. ტაბალუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოების გამგეობის წევრი ამხ. ილია მაქსიმეს ძე **ტაბაღუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 15 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" 10 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. პორფილე ივანეს ძე **არეფიევი** — პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე.
2. პავლე ვასილის ძე **ასლანიდი** — რედაქტორი.
3. ანა მამიკონის ასული **ბაღდასაროვა** — ლიტერატურული თანამშრომელი.
4. ილია მოსეს ძე **ბრინერი** — პასუხისმგებელი მდივანი.
5. სოფიო ირაკლის ასული **გველესიანი** — განყოფილების გამგე.
6. ანატოლი პავლეს ძე **კიკნაძე** — განყოფილების გამგე.
7. სამუელ ვულფის ძე **სვერდლინი** — განყოფილების გამგე.
8. მაგდალინა სიმონის ასული **მურადბეკოვა** — უფროსი მემანქანე.
9. ჯილდა იაკობის ასული **მურადოვა** — კორექტორი.
10. ნუნუ შალვას ასული **ნაცვალაძე** — ლიტერატურული თანამშრომელი.
11. არონ მარკოზის ძე **რაბინოვიჩი** — განყოფილების გამგე.
12. ვლადიმერ არკადის ძე **ხარაზოვი** — განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 24 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

84 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სასაზღვრო ჯარების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ალექსანდრე სერაფიონის ძე **ანკუდინოვი** — მაიორი.
2. დონატ აფრიკანის ძე **ბოგომოლოვი** — მე-3 რანგის კაპიტანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ალექსი ტიმოთეს ძე **ბრციევი** — გადამდგარი პოლკოვნიკი.
4. ვლადიმერ გრიგოლის ძე **ბუჩენკოვი** — კაპიტანი.
5. ვასილ ანდრიას ძე **განიჩევი** — პოდპოლკოვნიკი.
6. ნიკოლოზ თევდორეს ძე **დემბინსკი** — მაიორი.
7. ვერა ლეონიდეს ასული **დუხნოვა** — ექიმი.
8. პეტრე თევდორეს ძე **ერაშოვი** — კონტროლის ოსტატი.
9. გიორგი ნიკოლოზის ძე **ზირაქაშვილი** — კაპიტანი.
10. ედუარდ მიხეილის ძე **კენარევი** — მე-3 რანგის ინჟინერ-კაპიტანი.
11. ანატოლ თევდორეს ძე **კომაროვი** — მაიორი.
12. კონსტანტინე ივანეს ძე **კრასოვსკი** — გადამდგარი პოდპოლკოვნიკი.
13. ანდრია გრიგოლის ძე **კუნახი** — მაიორი.
14. ნიკოლოზ გრიგოლის ძე **ლაზარევი** — კაპიტანი.
15. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **ლეშჩევი** — მაიორი.
16. ციცინათელა ვასილის ასული **მარგველაშვილი** — ექიმი.
17. ექვთიმე სტეფანეს ძე **მასლიევი** — მაიორი.
18. ნიკოლოზ პანტელეის ძე **მაშჩენკო** — მაიორი.
19. ზაქარია ფილიპეს ძე **მირენკო** — ტექნიკური სამსახურის კაპიტანი.
20. რიმა ნიკოლოზის ასული **ობუვაევა** — ბავშვთა ინტერნატის სამზარეულოს მუშა.
21. ვლადიმერ ვიქტორის ძე **პეტროვი** — კაპიტანი.
22. პეტრე ათანასეს ძე **პივოვაროვი** — მაიორი.
23. კონსტანტინე ივანეს ძე **რაზორენოვი** — მაიორი.
24. გრიგოლ ლევის ძე **რაზუვაევი** — პოდპოლკოვნიკი.
25. ვიქტორ ივანეს ძე **სეროვი** — მაიორი.
26. ანატოლ ნიკოლოზის ძე **სტარუხინი** — კაპიტანი.
27. ვერა ივანეს ასული **სუპელნიაკი** — დამლაგებელი.
28. მიხეილ ვასილის ძე **უხოვი** — მაიორი.
29. ანზორ დანიელის ძე **ფოფხაძე** — მაიორი.
30. ზოია ნიკიფორეს ასული **შუტოვა** — ექიმი.
31. სიმონ ტიმოთეს ძე **ჩერნოგუბოვი** — სავეტერინარო სამსახურის ინსტრუქტორი.
32. ზინაიდა ტროფიმეს ასული **ხოლინა** — მედიცინის და.
33. შაქრო ვასილის ძე **ხუნდაძე** — მაიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 24 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 ამხ. ლ. ი. ბერაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ამხ. ლევან იათეოზის ძე **ბერაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 ამხ. ვ. ი. ხანიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ჭანდრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე **ხანიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 მაისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის გამსვლელი სხდომა ქალაქ გორში, სხდომაზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ თ. მოსაშვილის მოხსენება ქალაქ გორის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, მისი განყოფილებები და საბჭოს მუდმივი კომისიები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე, ქალაქ გორის მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაში ეგრეთ მთელი რიგი ნაკლოვანებანი. სათანადო ყურადღება არ ექცევა ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობას, საცხოვრებელი სახლებისა და ქუჩების განათებას, ქალაქის წყალსადენის ქსელი მოძველებულია და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, აუცილებელია კანალიზაციის ქსელის სრული რეკონსტრუქცია. სათანადო ყურადღება არ ექცევა საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობას, სპორტული და ბავშვთა მოედნების მშენებლობას.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა გ. შენგელიამ, ვ. გოცირიძემ, გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხინჩიკაშვილმა, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსმა ნ. არონიშიძემ, გორის საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა ნ. არბოლიშვილმა და ა. სომხიშვილმა, კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ მ. კლიმიაშვილმა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა ო. დალაქიშვილმა, ელქსელის უფროსმა ა. ბერუაშვილმა, საბინაო სამმართველოს უფროსმა ი. მეჩითოვმა და სხვებმა.

(განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

*

* *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა. მოისმინეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ამხ. მ. თოფურიძის მოხსენება და კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელბახიანის თანამოხსენება საქართველოს სსრ კოლმეურნეობების წევრთა პენსიებითა და დახმარებებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა შ. შარტავამ, რ. სიორიძემ, ი. ჩუბინიძემ და სხვებმა.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 21 მაისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 340 დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	. . . . .	20
ადიგენის	რაიონიდან	11
ასპინძის	„	9
ახალციხის	„	6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმეტის	რაიონიდან	17
ბოგდანოვკის	„	7
გორის	„	15
გურჯაანის	„	1
ზესტაფონის	„	12
ვანის	„	17
კასპის	„	21
მახარაძის	„	17
მარნეულის	„	75
მესტიის	„	24
სამტრედიის	„	13
ჩხოროწყუს	„	35
წულუკიძის	„	7
ცხაკაიას	„	15
ხობის	„	10
სამხრეთ ოსეთის ა/ო		8

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 21 მაისის ბრძანებულებით აღდგენილ იქნა შემდეგი სოფლები:

მაიაკოვსკის რაიონში — წყალთაშუა, წაბლარასხევი და ალისმერეთი — მაიაკოვსკის სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე; კაკასხიდი — ხანის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე; საიმედო — დიმის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე;

ცაგერის რაიონში — ქულბაქი — წიფერჩის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე; ოფიტარა — ოყურეშის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე.

აღნიშნული სოფლები ადმინისტრაციულად დაექვემდებარნენ შესაბამის სადაბო და სასოფლო საბჭოებს.